

შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი

დამტკიცებულია უნივერსიტეტის
რექტორის 2014 წლის 8 ოქტომბრის №78-
14 ბრძანებით

განახლებული რედაქციით დამტკიცებულია
რექტორის 2018 წლის 14 ივნისის №57-18
ბრძანებით

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში-სასწავლო უნივერსიტეტი) უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებსა და პროცედურას.
2. ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილება და უნივერსიტეტის ექიმი, რომლებიც ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით, შიდასაუნივერსიტეტო აქტებით და წინამდებარე წესით.
3. უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილება უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტების, პერსონალის და სტუმრების უსაფრთხოებას, უნივერსიტეტის ქონების დაცვას, სახანძრო უსაფრთხოებას და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების დახმარებას უნივერსიტეტში გადაადგილების დროს.
4. უნივერსიტეტის ექიმი (შემდგომში-ექიმი) უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას უნივერსიტეტის ტერიტორიაზე.

მუხლი 2. უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექანიზმები

1. დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლები ვალდებული არიან მუდმივად აკონტროლონ უნივერსიტეტში დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერები და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრან იგი. საჭიროების შემთხვევაში ისინი უფლებამოსილნი არიან დაათვალიერონ სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები.
2. უნივერსიტეტის შენობაში შესვლა დასაშვებია დაშვების ბარათების გამოყენებით, მისი არქონის შემთხვევაში დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლების ნებართვით.
3. უცხო პირების პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სტუმრისთვის განკუთვნილი დაშვების ბარათის სანაცვლოდ რჩება დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილებასთან მანამ, სანამ პიროვნება უნივერსიტეტის შენობას არ დატოვებს.
4. ყველა სტუდენტი ვალდებულია თან იქონიოს სტუდენტური ბარათი/პირადობის მოწმობა და წარუდგინოს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლების მოთხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტში შესვლისას ან უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გადაადგილებისას. დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლის მოთხოვნის საფუძველზე, სტუდენტური

ბარათის/პირადობის მოწმობის წარუდგენლობის შემთხვევაში იდენტიფიცირება ხდება მონაცემთა ბაზის მეშვეობით.

5. უნივერსიტეტში ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ევაკუაციის პროცედურები (დანართი №1.1.). უნივერსიტეტი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრებით, სახანძრო ჰიდრანტი), რომლებიც განთავსებულია დერეფნებში და ბიბლიოთეკაში. საგანგებო ვითარების დროს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილება ვალდებულია საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრთან დაკავშირებით გამოიძახოს სახანძრო, სასწრაფო დახმარების სამსახური და სხვ. და უზრუნველყოს შესაბამისი წესების დაცვით შენობაში მყოფების მიერ შენობის უსაფრთხოდ დატოვება.
6. სტუდენტის მხრიდან სტუდენტთა ქცევის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში (ჩხუბი, საუნივერსიტეტო ინვენტარის დაზიანება, წესრიგის დარღვევა, უხამსი საქციელი, ბილწისტიყვობა და სხვა), დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლი, რომელმაც აღმოაჩინა დარღვევა, ადგენს ოქმს, სადაც აღწერილია დარღვევის არსი, დამრღვევის მონაცემები (გვარი, სახელი, ფაკულტეტი, კურსი), შედგენილი ოქმი განსახილველად გადაეცემა დისციპლინურ კომისიას, რომელიც ხელმძღვანელობს სტუდენტთა ქცევის კოდექსით.
7. უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებში აკრძალულია:
 - ა) სიგარეტის მოწევა;
 - ბ) გარეშე პირების დადგენილი პროცედურების დაცვის გარეშე უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაშვება;
 - გ) ცეცხლსაშიში და აალებადი ნივთიერების შეტანა, გამოყენება და შენახვა;
 - დ) გათბობა/კონდიციონერების სისტემის თვითნებურად ჩართვა/გამორთვა და რეგულირება ტემპერატურის შეცვლის მიზნით.

მუხლი 3. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

1. სამედიცინო ოთხში (უნივერსიტეტის პირველი სართული) განთავსებულია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტები, ასევე სიცხისა და წნევის საზომი აპარატები.
2. უნივერსიტეტში დასაქმებულია სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების აღმოჩენას.
3. უბედური შემთხვევის დროს აუცილებელია ნებისმიერმა პირმა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:
 - დროულად მოუხმოს ექიმს - ექიმთან დაკავშირება შესაძლებელია ტელეფონით +995 77 347708
 - შეატყობინოს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილებას - +995 77 347708/ +995 77 347719.
 - არ გადაადგილოს დაზარალებული ექიმის მოვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იქ დარჩენა სახიფათოა.
 - აუცილებლობის შემთხვევაში აღმოუჩინოს დახმარება ამ წესის დანართი №1.2. შესაბამისად. • აუცილებლობის შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრთან დაკავშირებით გამოიძახოს სახანძრო, სასწრაფო დახმარების სამსახური და სხვა.

მუხლი 4. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების მომსახურების წესი

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის შესაბამის ადაპტირებულ გარემოს შექმნას, რათა მათ სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება.
2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების სწავლებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შენობაში შემდეგი ინფრასტრუქტურის არსებობას:
 - ა. უნივერსიტეტის შენობის შესასვლელში არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაადგილებისათვის განკუთვნილი სავარძლისთვის სპეციალური ასასვლელი (პანდუსი);

- ბ. უნივერსიტეტის აუდიტორიების, სველი წერტილების შესასვლელი კარები მოწყობილია ისე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტმა დახმარების გარეშე შეძლოს სავარძლით გადაადგილება;
 - გ. უნივერსიტეტის შენობის 1-3 სართულებზე არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული სველი წერტილები;
 - დ. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ლიფტი, რომელიც იძლევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სართულებს შორის გადაადგილების შესაძლებლობას.
3. უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილება ვალდებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს აღმოუჩინოს ყველა სახის დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას უნივერსიტეტის შენობაში.
4. ზემოთაღნიშნული წესი მოქმედებს უნივერსიტეტის მთელს ტერიტორიაზე და მისი დამრღვევი პირი პასუხს აგებს უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად.



„უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“
დანართი №1.1.

ევაკუაციის პროცედურები

- ხანძრის შემჩნევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ამოქმედეთ შენობაში განთავსებული სახანძრო სიგნალიზაცია შესაბამისი ღილაკზე დაჭერით ან/და აცნობეთ დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომელს. სახანძრო სიგნალიზაციის ასამოქმედებელი ღილაკების განთავსების ადგილები მითითებულია ევაკუაციის გეგმაზე.
- დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომელი ვალდებულია გააღოს საევაკუაციო გასასვლელი და სახანძრო სიგნალიზაციის ამოქმედებით გააფრთხილოს შენობაში მყოფნი წარმოშობლი საფრთხის შესახებ;
- ხანძრის შესახებ ხმოვანი სიგნალის შემთხვევაში ყველასათვის სავალდებულოა შენობის დაუყოვნებლივ დატოვება პანიკის გარეშე;
- აუცილებლად გაეცანით ევაკუაციის მარშრუტს (იხ. ევაკუაციის გეგმა);
- შენობიდან გასვლები აუცილებლად უნდა შეგროვდნენ შენობის მიმდებარე ეზოში, რათა დადგინდეს ის პირები, ვინც შენობაში დარჩნენ, მათ შესახებ აცნობეთ დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომელს ან საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს;
- ევაკუაციის პროცესი იწყება იმ პირებით, რომელთაც არ სჭირდებათ სხვების დახმარება გარეთ გასასვლელად; ეს გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაშვებას ევაკუაციის დროს;
- ერთი ადამიანი (ადმინისტრაციის თანამშრომელი, ლექტორი) უნდა დარჩეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან, რომელიც დაეხმარება მას გასვლაში, მას შემდეგ, რაც სხვები დატოვებენ შენობას, სხვებმა კი მათი ადგილმდებარეობის შესახებ უნდა აცნობონ დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომელს და საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს;
- ოთახების და აუდიტორიების დატოვებისას, შესაძლებლობის შემთხვევაში დახურეთ ფანჯრები და კარებები, რაც ხელს შეუშლის ცეცხლის გავრცელებას;
- პირადი ნივთები წაიღეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დრო გაძლევეთ ამის საშუალებას;
- ევაკუაციის დროს შეინარჩუნეთ სიმშვიდე და სიწყნარე, რათა ყველამ გაიგონოს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლის მითითებები, რომელიც ხელმძღვანელობს ევაკუაციის პროცესს;
- თუ თქვენი გასასვლელი ჩახერგილია, განთავსდით შედარებით უსაფრთხო ადგილას, ეცადეთ დარეკოთ სხვებთან და აცნობოთ მათ თქვენი ადგილმდებარეობის შესახებ, ხოლო შემდეგ დაელოდეთ მანქანებს;
- არ დაბრუნდეთ შენობაში სანამ დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომელი არ მოგცემთ შესაბამის მითითებას;
- მას შემდეგ, რაც აღმოჩნდებით უსაფრთხო სიტუაციაში, დარეკეთ საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრში ნომერზე 112.



„უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“
დანართი №1.2.

პირველადი დახმარების გაწევის მეთოდები

1. პირველი დახმარება გულის წასვლის დროს:



- დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და ქვედა კიდურები განალაგეთ ვერტიკალურად.
- უზრუნველყავით სუფთა ჰაერის მიწოდება;
- მას შემდეგ, რაც დაზარალებულს დაუბრუნდება ცნობიერება, გაამხნევეთ და დაეხმარეთ მას ნელ- ნელა წამოჯდომაში;
- გულმოდგინედ ჩაატარეთ განმეორებითი დათვალიერება, რადგან შესაძლებელია დაცემისას დაზარალებულს მიეღო ტრავმა, გაუწიეთ პირველი დახმარება დაზიანების შესაბამისად. თუ დაზარალებულს სწრაფად არ უბრუნდება ცნობიერება, გახსენით სასუნთქი გზები, შეამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები. საჭიროების შემთხვევაში მზად იყავით სარეანიმაციო ღონისძიებების ჩასატარებლად;
- თუ გონზე მოსვლის შემდეგ დაზარალებული კვლავ ცუდად გრძნობს თავს, ურჩიეთ მას დაწვეს ზურგზე და აუწიეთ ფეხები, სანამ ზოგადი მდგომარეობა ბოლომდე არ გაუმჯობესდება.

2. ხელოვნური სუნთქვის ჩატარების ტექნიკა



- ჩაბერეთ დაზარალებულს პირში 5 წამში ერთხელ. ყოველი ჩაბერვის შემდეგ მოაშორეთ ტუჩები დაზარალებულის პირს და შემდეგ ჩაბერვამდე დაელოდეთ გულმკერდის კედელი დაუბრუნდეს საწყის მდებარეობას;
- ყოველი 10 ჩაბერვის შემდეგ კვლავ გადაამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები;
- თუ ცირკულაციის ნიშნები არ არის, ეს ნიშნავს რომ გული გაჩერებულია და თქვენ სწრაფად უნდა დაიწყოთ გულის არაპირდაპირი მასაჟი:

3. გულის არაპირდაპირი მასაჟის შესრულების ტექნიკა



- დადექით მუხლებზე დაზარალებულის გულმკერდის გასწვრივ. მოძებნეთ დაზარალებულის დვრილების შემაერთებელი ხაზის შუა წერტილი, ამ წერტილის ქვევით ვათავსებთ ერთ ხელს, ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი; ეს არის ის ადგილი, რომელზეც თქვენ უნდა მოახდინოთ ზეწოლა;



- დაადეთ მტევანი ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს
- გაშალეთ ხელები იდაყვის სახსარში ისე, რომ თქვენს ხელებსა და გულმკერდის წინა კედელს შორის იყოს სწორი კუთხე. მოახდინეთ ზეწოლა მკერდის ძვალზე ისე, რომ ზეწოლის სიღრმე არ აღემატებოდეს 4-5 სმ-ს. ზეწოლის შემდეგ ხელების მოუშორებლად მიეცით მკერდის ძვალს საწყის მდებარეობაში დაბრუნების საშუალება. ზეწოლისას ითვალეთ: “ერთი, ორი, სამი, ოთხი... 15-მდე” ისე რომ 1 წუთში გამოვიდეს 100 ზეწოლა მკერდის ძვალზე. • თუ თქვენ მარტო ხართ:



მოახდინეთ 15 ზეწოლა. ამის შემდეგ თქვენ უნდა დაიწყოთ ხელოვნური სუნთქვა. ამისათვის გახსენით სასუნთქი გზები და გააკეთეთ 2 ჩაბერვა. გააგრძელეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია შეფარდებით 15 ზეწოლა მკერდის ძვალზე/ 2 ჩაბერვა, სანამ: არ აღდგება სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები, არ მოვა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ან დამხმარე, რომელმაც იცის გულ-ფილტვის რეანიმაციის ტექნიკა; ფიზიკურად არ გადაიღლებით.

ყოველ 1 წუთში ანუ 4 ციკლის ჩატარების შემდეგ თქვენ უნდა შეწყვიტოთ გულ-ფილტვის რეანიმაცია და გადაამოწმოთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები;

- თუ თქვენ გყავთ დამხმარე ერთ-ერთი აკეთებს გულის არაპირდაპირ მასაჟს, ხოლო მეორე ხელოვნურ სუნთქვას. ამ შემთხვევაშიც გულ-ფილტვის რეანიმაცია ტარდება შეფარდებით: 15 ზეწოლა მკერდის ძვალზე / 2 ჩაბერვა. ასეთ შემთხვევაშიც 1 წუთის შემდეგ შეწყვიტეთ გულ- ფილტვის რეანიმაცია ცირკულაციის ნიშნებისა და სუნთქვის შემოწმების მიზნით.

4. გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის გამოძახება

- მაშინ როდესაც გული და სუნთქვა გაჩერებულია, ძალიან მნიშვნელოვანია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დროული გამოძახება:



სულხან-საბა ორბელიანის

უსაფრთხოების

• თუ გყავთ დამხმარე -

გამოსაძახებლად;

- თუ ხართ მარტო - სუნთქვის და გულის გაჩერება განპირობებულია ტრავმით ჩაატარეთ გულ- ფილტვის რენიმაცია 1 წთ-ის განმავლობაში, შემდეგ გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური, დაბრუნდით დაზარალებულთან და გააგრძელეთ პირველი დახმარების აღმოჩენა.

სასწავლო უნივერსიტეტი

უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი
დროულად გააგზავნეთ ის სამედიცინო სამსახურის